საგარეჯოს მაცნე

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №22(180) 2018 წ. 16-30 ნოემბერი ფასი 50 თეთრი

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების II ტურის წინასწარი შედეგები საგარეჯოს მუნიციპალიტეტში

გრიგოლ ვაშაძემ (№5) მიიღო 8 392 ხმა (37.51%)

სალომე გურაბიშვილმა (№48) – 13979 ხმა (62.29%)

	უბნის დასახელება(1)	რაოდენობა ერთიან სიაში (2)	მისული ამომრჩევლების რაოდენობა(3)	ერთიან ვაშაძე (4)	სალომე ზურაბიშვილი(5)	ნამდვილი ბიულეტენები (6)	ბათილი ბიულეტენები(7)
01	ქ.საგარეჯოს, გაღმაუბნის	696	417	158	245	403	14
02	ქ.საგარეჯოს ბაზრის უბნის	1 206	758	208	524	732	26
03	ქ.საგარეჯოს ზემო უბნის	1 099	656	220	425	645	11
04	ქ.საგარეჯოს ცენტრის უბნის	829	479	146	319	465	14
05	ქ.საგარეჯოს ქვემო უბნის	701	408	150	250	400	8
06	ქ.საგარეჯოს მეურნეობის უბნის	1 355	800	270	495	765	35
07	ქ.საგარეჯოს სადგურის უბნის	918	470	181	278	459	11
08	ქ.საგარეჯოს კომისარიატის	1 200	689	285	387	672	17
09	ქ.საგარეჯოს სპორტდარბაზის	943	553	198	333	531	21
10	ქ.საგარეჯოს რკ. სადგურის	1 037	561	245	280	525	36
11	გომბორის	836	397	159	233	392	5
12	კოჭბაანის	293	186	69	112	181	5
13	უჯარმის	441	327	116	205	321	6
14	ხაშმის	1 269	725	276	431	707	18
15	პატარძეულის კულტსახლის უბანი	927	517	120	383	503	14
16	პატარძეულის სკოლის უბანი	1 373	842	206	621	827	15
17	წყაროსთავის	594	352	131	215	346	6
18	ნინოწმინდის სკოლის უბანი	749	446	201	233	434	12
19	ნინოწმინდის საბავ. ბაღის უბანი	908	560	221	329	550	10
20	გიორგიწმინდის	1 171	796	293	482	775	21
21	გიორგიწმინდის	827	570	255	288	543	27
22	ქვემო სამგორის დასახლების	72	49	23	25	48	1
23	სათაფლეს	104	67	9	57	66	1
24	თოხლიაურის	843	501	168	329	497	4
25	ზემო მანავის	781	411	176	227	403	7
26	მანავის გორხანის	1 055	560	220	334	554	4
27	მანავის ბურდიანის	527	299	127	168	295	4
28	დიდი ჩაილურის	772	504	153	340	493	11
29	პატარა ჩაილურის	748	539	167	363	530	8
30	კაკაბეთის განახლების	1 252	755	248	488	736	19
31	კაკაბეთის საკრებულოს	1 291	703	231	454	685	18
32	ვერხვიანის	337	262	75	181	256	6
33	ყანდაურის	929	566	163	391	554	12
34	ბადიაურის	1 200	778	199	561	760	17
35	მზისგულის	491	330	98	228	326	4
36	შიბლიანის	401	296	116	174	290	6
37	უდაბნოს	575	353	51	294	345	8
38	დუზაგრამის სკ. უბანი	1 253	311	128	182	310	1
39	დუზაგრამის საკ. უბანი	1 144	313	116	193	309	4
40	ქეშალოს სკ. უბანი	973	324	137	184	321	3
41	ქეშალოს ამბ. უბანი	1 051	365	128	227	355	10
42	მუღანლოს	1 258	416	84	314	398	18
43	მუღანლოს	1 063	332	133	191	324	8
44	ლამბალოს	1 357	335	164	161	325	10
45	ლამბალოს	1 366	304	180	115	295	9
46	ლამბალოს	1 366	302	165	127	292	10
47	თულარის	1 477	439	244	191	435	4
48	თულარის	1 436	440	291	141	432	8
49	კაზლარის	890	307	155	140	295	12
50	ლამბალოს	1 016	277	135	131	266	11
		46 400	**22 947**	**8 392**	**13 979**	**22 371**	**570**
				37,51%	**62,49%**		

მომავალში მჭიდრო გახდება ურთიერთთანამშრომლობა განათლების, კულტურის, სპორტის შემდგომი განვითარებისათვის

***საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილეები* ლევან ხარატიშვილი და შალვა გოგოლაძე** საგარეჯოს ესტუმრნენ. სამინისტროს მუშაობის პრიორიტეტების, ახალი გეგმებისა და პროექტების შესახებ მათ ადგილობრივ მოსახლეობას ვრცელი და საინტერესო ინფორმაცია მიაწოდეს.

შეხვედრას ესწრებოდნენ კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე ირაკლი შიოშვილი, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი გიორგი ერბოწონაშვილი, საგარეჯოს მაჟორიტარი დეპუტატი, საქართველოს პარლამენტის წევრი რომან მუჩიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე ოთარ ჩალათაშვილი, მერის მოადგილეები ალექსი გილაშვილი და პაატა ასრაოაშვილი, საგარეჯოს საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი მანანა ცუცქირიძე, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს თანამშრომლები, სპორტსმენები, ხელოვანები, პედაგოგები, აგრეთვე სპორტისა და ხელოვნების განვითარებით დაინტერესებული მოქალაქეები.

როგორც სტუმრებმა საუბრისას აღნიშნეს, საგარეჯოს დიდი სპორტული ტრადიციები გააჩნია. სამინისტრო მიესალმება იმ ფაქტს, რომ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ყველაფერს აკეთებს ამ სფეროს ხელშეწყობისათვის. მაგალითისთვის დასახელდა ქალაქ საგარეჯოში მიმდინარე წელს ახალი საფეხბურთო სტადიონის ექსპლუატაციაში შესვლა, პატარძეულის სარაგბო კლუბ „ვეფხვების“ გადასვლა უმაღლეს ლიგაში, სოფელ პატარძეულის სტადიონის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და სხვა, უკვე დამთავრებული თუ მიმდინარე პროექტები. მათივე თქმით, საგარეჯო სამართლიანად ატარებს საქართველოს მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე სპორტული მუნიციპალიტეტის სახელს.

ლევან ხარატიშვილმა და შალვა გოგოლაძემ ვრცლად ისაუბრეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ 2019 წელს დაგეგმილ მასშტაბურ პროექტებზე, რომლებიც ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ პრიორიტეტად გამოცხადებული სფეროების - სპორტისა და ხელოვნების განვითარების მაქსიმალურად ხელშეწყობას. ხაზი გაესვა ჯანსაღი ცხოვრების წესისა და მასობრივი სპორტის დანერგვის მნიშვნელობას, რასაც 2019 წლის დასაწყისიდან ხსენებული სამინისტრო და სხვა შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურები დიდ ძალისხმევას მოახმარენ.

საუბარი შეეხო იმ საკითხსაც, რომ მომავალი წლიდან იგეგმება ქვეყნის რეგიონებზე მეტი ყურადღების გამახვილება, სპორტისა და ხელოვნების განვითარებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, საგარეჯოსა და სხვა მუნიციპალიტეტებში მასშტაბური სპორტული შეჯიბრებებისა და ხელოვნების ფესტივალების გამართვა.

შეხვედრის მონაწილეებს არც პრობლემები გამორჩენიათ. მათ ისაუბრეს საგარეჯოს კულტურის სახლის გათბობისა და ტექნიკური აღჭურვის, სპორტული დარბაზებისა და მოედნების კეთილმოწყობის საკითხებზე.

აღინიშნა ისიც, რომ სამინისტრო მჭიდროდ ითანამშრომლებს არა მარტო საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან, არამედ ხსენებული სფეროების განვითარებით დაინტერესებულ მოქალაქეებთან და მაქსიმალურად შეეწყობა ხელი მოსახლეობასთან კომუნიკაციის მკვეთრად გაუმჯობესებას.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი ერბოწონაშვილმა ისაუბრა მიმდინარე პროექტებზე. მან ასევე ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ მომავალი წლისთვის მერია აპირებს ძალზე საინტერესო და მრავალფეროვანი გეგმების განხორციელებს, რაც მიზნად ისახავს მომავალ თაობებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას, მათ დაინტერესებას სპორტითა და ხელოვნებით, ნიჭიერი ახალგაზრდების ყოველმხრივ ხელშეწყობას.

გიორგი ერბოწონაშვილმა და რომან მუჩიაშვილმა მადლობა გადაუხადეს სტუმრებს ჩამობრძანებისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის აქტუალური, მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდებისთვის.

შეხვედრის მიწურულს კი ითქვა, რომ სამომავლოდ კიდევ უფრო მჭიდრო გახდება თანამშრომლობა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივ თვითმმართველობას შორის.

№22(180) 2018 წელი, 16-30 ნოემბერი

მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდება

შენობა, რომელიც მალე 40 წლის გახდება

.საგარეჯოს კულტურის სახლის შენობას მომავალ წელს ექსპლოატაციაში შესვლიდან 40 წელი შეუსრულდება. იგი წლების განმავლობაში ჩვენი ქვეყნის სხვა კულტურის ობიექტებთან ერთად ერთ-ერთ თვალსაჩინო დაწესებულებად მოიხსენიება. აქ წარმატებით მიმდინარეობს იმ პროექტების განხორციელება,რომელიც საგარეჯოელი კულტურის მუშაკთა მიერაა შემუშავებული. გარდა ამისა, აღნიშნულ შენობას ხშირად სტუმრობენ არა მარტო ქართული კულტურის მოღვაწენი, მის კულტურასა და სცენას რამდენჯერ უცხოელებისთვისაც უმასპინძლია. თუმცა, ზამთრის პერიოდში ღონისძიებების გამართვა ფერხდება, რადგან მოსაწესრიგებელია გათბობის პრობლემა. ასევე აუცილებელია სცენის განათების და სხვა ტექნიკური ხასიათის საკითხების მოგვარებაც.

სწორედ ამ თემებზე იმსჯელეს ***საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილეებმა*** **ლევან ხარატიშვილმა** და **შალვა გოგოლაძემ** 17 ნოემბერს საგარეჯოში ვიზიტისას. ისინი კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე ირაკლი შიოშვილთან, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერთან გიორგი ერბოწონაშვილთან, საქართველოს პარლამენტში საგარეჯოს მაჟორიტარ დეპუტატთან რომან მუჩიაშვილთან, საკრებულოს თავმჯდომარე ოთარ ჩალათაშვილთან, მერის მოადგილეებთან ალექსი გილაშვილსა და პაატა ასრათაშვილთან, აიპ „საგარეჯოს კულტურის ობიექტების გაერთიანების" დირექტორ ბესიკ ღვინაშვილთან ერთად კულტურის სახლს ესტუმრნენ. დაათვალიერეს ფოიე და საკონცერტო დარბაზი. ადგილზე შეისწავლეს არსებული პრობლემები.

ბესიკ ღვინაშვილის ინფორმაციით, საგარეჯოს კულტურის სახლის რეაბილიტაციისათვის უკვე მომზადებულია შესაბამისი პროექტი და ხარჯთაღრიცხვა. სახელმწიფოს სათანადო ხელშეწყობის შემთხვევაში, საგარეჯოს კულტურის ობიექტების გაერთიანების თანამშრომლები კიდევ უფრო მეტ საინტერესო და ღირებულ კულტურულ ღონისძიებას განახორციელებენ მთელი წლის განმავლობაში.

ხსენებული პრობლემების ეფექტურად გადაჭრის მიზნით, დაიგეგმა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივ თვითმმართველობას შორის თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავება და გააქტიურება.

სტადიონი საბოლოო სახეს მალე მიიღებს

მართალია მიმდინარე წლის მაისში ახლად რეაბილიტირებული საგარეჯოს ცენტრალური საფეხბურთო სტადიონი ექსპლუატაციაში შევიდა – 23 მაისს სტადიონი საზეიმოდ გაიხსნა. იმ დღიდან აქ რამდენიმე ამხანაგური მატჩიც გაიმართა. თუმცა, რეაბილიტაციას საჭიროებდა სტადიონის ინფრასტრუქტურა.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიამ ამ საკითხზე უკვე იზრუნა და სარეაბილიტაციო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს.

საგარეჯოში სტუმრად მყოფმა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ შალვა გოგოლაძემ სტადიონზე არსებული მდგომარეობა ადგილზე მოინახულა.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერს გიორგი ერბოწონაშვილს საგარეჯოს მაჟორიტარ დეპუტატს, პარლამენტის წევრს რომან მუჩიაშვილს, საკრებულოს თავმჯდომარეს ოთარ ჩალათაშვილს, მერის მოადგილეებს ალექსი გილაშვილსა და პაატა ასრათაშვილს, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსს არჩილ ჯაბადარსა და ამავე სამსახურის თანამშრომელს ლაშა იაკობიძეს შალვა გოგოლაძე ესაუბრა იმ გეგმებსა და პროექტებზე, რომელთა განხორციელებას სამინისტრო მომავალ წელს სპორტის განვითარებისთვის აპირებს.

მინისტრის მოადგილემ მოისმინა ინფორმაცია იმ მრავალფეროვანი სპორტული ღონისძიებებისა და მიმდინარე პროექტების შესახებ,რასაც საგარეჯოს მუნიციპალიტიტეტის მერია ახორციელებს.

დაიგეგმა მომავალი თანამშრომლობა სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობისთვის.

გალამაზდა გურამიშვილის ქუჩა

ქალაქ საგარეჯოში, გურამიშვილის ქუჩაზე მოასფალტების სამუშაოები დაიწყო და აქტიურად მიმდინარეობს. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ ალექსი გილაშვილმა და ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახურის უფროსმა როსტომ ბაქრაძემ ადგილზე მოინახულეს ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები და მათ მიმდინარეობას გაეცნენ. პროექტი რეგიონალური განვითარების ფონდიდან ფინანსდება და მისი ღირებულება 227 650 ლარს შეადგენს. პროექტის ფარგლებში მოასფალტდება 815 მეტრის სიგრძის მონაკვეთი. მოასფალტების სამუშაოებს შპს „კავკას ავტომაგისტრალი"ასრულებს.

სპორტი

ძიუდო

იზრდებიან მომავლი მსოფლიო ჩემპიონები

17 ნოემბერს საგარეჯოში გაიხსნა საგარეჯოელი მოჭიდავის, მსოფლიოსა (ახალგაზრდებში) და ევროპის (დიდებში) ჩემპიონის გიორგი რევაზიშვილის სახელობის ტრადიციული ტურნირი ძიუდოში.

არსენ მეკოკიშვილის სახელობის დარბაზში მიმდინარე ორდღიან ტურნირში, რომლის ორგანიზატორი იყო აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანება", მონაწილეობდნენ

დასასრული მე-6 გვერდზე

მთას უბრუნდება მთიელი

მთავრობის ადმინისტრაციაში მთის კანონით დაწესებული შეღავათებით მოსარგებლეთა რიცხვი გაიზრდება

საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების ნუსხა და მთის კანონით დაწესებული შეღავათებით მოსარგებლეთა რიცხვი შესაძლოა გაიზარდოს, - ამის შესახებ მთის განვითარების ეროვნული საბჭოს სხდომაზე იმსჯელეს, რომელიც პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძის ხელმძღვანელობით მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა.

მთავრობის მეთაურის დავალებით, შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც მაღალმთიანი დასახლების სტატუსის მინიჭების კრიტერიუმებს გადახედავს. შეფასდება კანონის მიერ მოტანილი სარგებელი და შემუშავდება შემდგომი სამოქმედო გეგმა, მათ შორის კანონის მოქმედების არეალის გაფართოების კუთხით. პრემიერ-მინისტრის განცხადებით, მთავრობისთვის პრიორიტეტია მთაში მცხოვრებთა მაქსიმალური ხელშეწყობა და მოსახლეობის დაბრუნება, რაც კანონის მთავარ მიზანს წარმოადგენს.

მამუკა ბახტაძემ ასევე ხაზი გაუსვა მთის პრობლემატიკისთვის კიდევ უფრო მეტი ყურადღების დათმობის აუცილებლობას და მთაში მცხოვრები მოსახლეობის საჭიროებების დროულად და ეფექტიანად მოგვარების აუცილებლობას.

საბჭოს სხდომაზე ასევე ცნობილი გახდა, რომ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტი შეიქმნება. ფაკულტეტის სასწავლო პროგრამების შემუშავება და მომდევნო სასწავლო წლისთვის მომზადება მთის ფონდიდან დაფინანსდება.

გარდა ამისა, საქართველოში დაწესდება მთის კვირეული, რომელიც ხელს შეუწყობს მთისა და მთის კურორტების განვითარებას და იქ მცხოვრები მოსახლეობის საჭიროებებზე ეფექტურ რეაგირებას.

მაღალმთიანი დასახლებების შესახებ კანონის ამოქმედებიდან დღემდე 1730 დასახლებას მინიჭებული აქვს მაღალმთიანი დასახლების სტატუსი, სადაც მცხოვრები 243 000 მოქალაქე კანონით გათვალისწინებული ყველა შეღავათით სარგებლობს.

2017 წლის განმავლობაში, მთაში მცხოვრები მოსახლეობისთვის გაცემულია 66 მილიონი ლარის ოდენობის ფინანსური დახმარება და დანამატები, რათა მთის მცხოვრებლებს პირობები შეუმსუბუქდეთ და მთაში შენარჩუნდეს მოსახლეობა.

შემუშავდა „საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების სტრატეგიის 2019-2023“ პროექტი

„**მაღალმთიანი** რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საქართველოს რეგიონული განვითარებისა ინფრასტრუქტურის სამინისტროს კოორდინაციით შემუშავდა „საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების სტრატეგიის 2019-2023“ პროექტი. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-20 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, სტრატეგიული დოკუმენტი, რომლის განხორციელებამ შესაძლოა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე, ექვემდებარება სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასებას (შემდგომში სგშ). ამავე კოდექსის, მე-3 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულია, რომ ადმინისტრაციული ორგანო ან სხვა უფლებამოსილი ორგანიზაცია, რომელიც შესაბამისი ნორმატიული აქტის თანახმად, პასუხისმგებელია სტრატეგიული დოკუმენტის მომზადებისთვის წარმოადგენს დამგეგმავ ორგანოს. მოცემულ შემთხვევაში, დამგეგმავი ორგანო საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროა. ამავე კოდექსის, 20-ე მუხლის მე-6 ნაწილისა და 23-ე მუხლის პირველი, მეორე და მესამე ნაწილების შესაბამისად, თუ დამგეგმავი ორგანო მიიჩნევს, რომ სგშ-ის ჩატარება საჭირო არ არის, იგი უფლებამოსილია სგშ-ის ჩატარების საჭიროების განსაზღვრის მიზნით გამოიყენოს სკრინინგის პროცედურა, რომლის შედეგების მიხედვით ჩატარდება ან არ ჩატარდება სგშ. დამგეგმავი ორგანო უფლებამოსილია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმართოს სკრინინგის განცხადებით და წარუდგინოს სტრატეგიული დოკუმენტის კონცეფცია ან პროექტი (იგი უნდა მოიცავდეს მოკლე ინფორმაციას სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული მიზნების, ამოცანებისა და ღონისძიებების შესახებ). წარდგენილი სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების არეალის (მათ შორის, ამ არეალში მცხოვრები მოსახლეობის) შესახებ, აგრეთვე ინფორმაციას გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე შესაძლო ზემოქმედების ხასიათის შესახებ. ამიტომ,„საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების სტრატეგია 2019-2023“ პროექტის მიზანია მაღალმთიანი დასახლებების სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციისა და არსებული პოტენციალის ანალიზის საფუძველზე საქართველოს რეგიონების ინკლუზიური და მდგრადი განვითარების სტრატეგიული ხედვის ჩამოყალიბება, საქართველოს მოქალაქეებისათვის თანაბარი შესაძლებლობების გაჩენის, ცხოვრების დონის გაუმჯობესების, საერთო კეთილდღეობის ამაღლებისა და ქვეყნის ტერიტორიის თანაბარი სოციალური და ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფისათვის. სტრატეგიის მიზნების მისაღწევად შემდეგი ამოცანებია გათვალისწინებული - ტურიზმის განვითარების მხარდაჭერა, სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა, სამეწარმეო საქმიანობის მხარდაჭერა, საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა, ჯანდაცვის ხარისხიან სერვისებზე ხელმისაწვდომობა, ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობა, დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესება, კომუნალური და საკომუნიკაციო სერვისების ხელმისაწვდომობა, ახალგაზრდების მხარდაჭერა, კულტურულ-სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება, მართვისა და მომსახურების ინოვაციური სისტემების დანერგვა, საჯარო სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდა. „გარემოსდაცვით შეფასების კოდექსის“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტში აღნიშნულია, რომ სგშ-ის ჩატარება სავალდებულოა იმ სტრატეგიული დოკუმენტისთვის, რომელიც შემდეგ სექტორებში ადგენს სამომავლო განვითარების ჩარჩოს საქმიანობებისათვის: სოფლის მეურნეობა; ბ) სატყეო მეურნეობა; გ) თევზჭერა; დ) ენერგეტიკა; ე) მრეწველობა; ვ) ტრანსპორტი; ზ) ნარჩენების მართვა; თ) წყლის რესურსების მართვა; ი) ელექტრონული კომუნიკაციები; კ) ტურიზმი; ლ) დაგეგმარება და სივრცითი მოწყობა. როგორც აღინიშნა, სტრატეგიის პროექტი ითვალისწინებს, ტურიზმის, სოფლის მეურნეობის მხარდაჭერას, საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობას, კომუნალურ და საკომუნიკაციო სერვისების ხელმისაწვდომობას, მაგრამ აღსანიშნავია, რომ სტრატეგიით განსაზღვრულია მხოლოდ ზოგადი მიზნები და ამონაცანები და ის არ ადგენს კონკრეტულ პროექტს, აქტივობას, რომელიც ზეგავლენას მოახდენს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე.

რაც შეეხება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 23-ე მუხლის მე-6 ნაწილის ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს, ამასთან დაკავშირებით მოგახსენებთ შემდეგს:

ა) სტრატეგიული დოკუმენტის მახასიათებლები:

ა.ა) სტრატეგიის მოქმედება ვრცელდება არა, რომელიმე კონკრეტულ ტერიტორიაზე, არამედ, ზოგადად, „მაღალმთიან დასახლებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის 671 დადგენილებით განსაზღვრულ ყველა მაღალმთიან დასახლებაზე. ამდენად, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 23-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა.ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, შეუძლებელია დადგინდეს სტრატეგიული დოკუმენტით განსახორციელებელ საქმიანობების კონკრეტული ადგილმდებარეობა, ასევე, სტრატეგიული დოკუმენტით განსაზვრული ამოცანების ფარგლებში თუ რა ტიპის და მოცულობის საქმიანობის განხორციელება გახდება საჭირო. ამასთანავე „საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების სტრატეგია 2019-2023“ პროექტი არ ადგენს სამომავლო ჩარჩოს ბუნებრივი რესურსების განაწილების კუთხით განსახორციელებელი საქმიანობისათვის.

ა) სტრატეგიული დოკუმენტის მახასიათებლები:

ა.ბ) „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების სტრატეგიის 2019-2023“ პროექტით არ დგინდება სხვა გარემოსდაცვით სტრატეგიულ დოკუმენტებთან მიმართება.

ა.გ) სტრატეგიული დოკუმენტის დანიშნულება გარემოსდაცვითი საკითხების ინტეგრირების თვალსაზრისით უმნიშვნელოა.

ა.დ) სტრატეგიის პროექტში ზოგადად არის მითითებული გარემოს დაცვის და გარემოს დაბინძურებისაგან თავის არიდების აუცილებლობისა და მნიშვნელობის შესახებ.

ბ) ზოგადი ინფორმაცია სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული ღონისძიებების ზემოქმედების ხასიათისა და ზემოქმედებისადმი დაქვემდებარებული ტერიტორიის მახასიათებლების შესახებ:

ბ.ა) სტრატეგიით არ დგინდება ჩარჩო პირობები, რომელსაც ექნება ტრანსასაზღვრო ზემოქმედების შესაძლებლობა.

ბ.ბ) შეუძლებელია სტრატეგიის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე დადგინდეს, გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე შესაძლო ზემოქმედების ხასიათი.

ბ.გ) „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების სტრატეგიის 2019-2023“ პროექტში მითითებულია, რომ მაღალმთიანი დასახლებების განვითარებისადმი საჭიროა კომპლექსური, განსხვავებული მიდგომები მოსახლეობის სიმჭიდროვის, რელიეფის დახრილობის, სასოფლო-სამეურნეო მიწების სიმცირის, მიწისა და ადამიანური რესურსების თანაფარდობის მაჩვენებელის, ბუნებრივი კატასტროფებისადმი მოწყვლადობის მიხედვით. ასევე, მაღალმთიანი დასახლებები გამოირჩევა კულტურული მემკვიდრეობის, ისტორიული, არქეოლოგიური და ბუნებრივი ძეგლების სიმრავლით, მრავალფეროვანი ლანდშაპტით. მაღალმთიანი რეგიონებისათვის დაცული ტერიტორიების შედარებით დიდი და მზარდი ფართობი ძლიერი მხარეა. დოკუმენტის პროექტი არ განსაზღვრას რაიმე ღონისძიებას, რომელიც უარყოფით ზეგავლენას მოახდენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების თვითმყოფადობის შენარჩუნებაზე, ლანდშაფტის უცლელობაზე ან დაცული ტერიტორიების მართვაზე (იხ. საიტზე http://mepa.gov.ge/Ge) სტრატეგიულ დოკუმენტის პროექტთან დაკავშირებული წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ წარუდგინოთ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მისამართზე: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი 6, ან ელ. ფოსტის მისამართზე: eia@mepa.gov.ge

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

პროექტი სიახლე

2019 წლიდან გაზრდილი ყოველთვიური დახმარებით 140 000-მდე სოციალურად დაუცველი ბავშვი ისარგებლებს

ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, სოციალურად დაუცველთა მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულ ოჯახებში, სადაც 16 წლამდე ბავშვები ცხოვრობენ და მათი სარეიტინგო ქულა 100 000-ს არ აღემატება ყოველთვიური დანამატის ოდენობა იზრდება 50 ლარამდე. რომლის ფარგლებშიც 20 ლარი იქნება ფულადი ბენეფიტი, ხოლო 30 ლარი - კვების ვაუჩერი.

2019 წლის იანვრიდან მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ პირების (II ჯგუფი) სოციალური პაკეტი 20 ლარით გაიზრდება და ისინი 100-ის ნაცვლად 120 ლარს მიიღებენ.

ინფრასტრუქტურა-2018 **ჩვენს მუნიციპალიტეტში** ინფრასტრუქტურა-2018

ეს გზა ათეული წლები მოსაწესრიგებელი იყო

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერია იმ გზების რეაბილიტაციაზე მუდმივად ზრუნავს, რომლებიც მრავალი წლის განმავლობაში არ შეკეთებულა. ერთ-ერთი ასეთი იყო უჯარმის თემის სოფელ მუხროვანამდე მისასვლელი ძირითადი საავტომობილო გზა - იგი ნიაღვრებისგან იმდენად იყო დაზიანებული, რომ გადაადგილება მკვეთრად ფერხდებოდა.

უჯარმის თემში მერის წარმომადგენლის დავით აბელაშვილის ორგანიზებით, მოსწორდა გზის 300 მეტრის სიგრძის მონაკვეთი; 200 მეტრის სიგრძეზე კი გზა მოიხრეშა.

სარეაბილიტაციო სამუშაოები შპს „საგარეჯო“-მ შეასრულა.

ამ დროისთვის გზა აღდგენილია, რისთვისაც ადგილობრივმა მოსახლეობამ მადლიერება გამოხატა მერიის მიმართ.

ერთობლივი ძალებით მოგვარდა პრობლემა

სოფელ უჯარმის ერთ-ერთ უბანს სასმელი წყალი შეფერხებით მიეწოდებოდა, რაც პრობლემას უქმნიდა 30-მდე ოჯახს. შესწავლით დადგინდა, რომ მიზეზს დაახლოებით 40 წლის წინ ჩადებული, არაერთ ადგილას დაზიანებული მილი წარმოადგენდა.

უჯარმის თემში მერის წარმომადგენლის, დავით აბელაშვილის ორგანიზებით 100 მეტრის სიგრძეზე ამოიცვალა დაზიანებული მილი.

შესრულებულ სამუშაოებში აქტიურად იყო ჩართული როგორც შპს „საგარეჯო“, ისე ადგილობრივი მოსახლეობა.

ამ დროისთვის წყლის მიწოდება შეუფერხებლად ხორციელდება.

რაგბის სტადიონის რეაბილიტაცია
პატარძეულის „ვეფხვების“ შემდგომი წარმატებებისათვის

პატარძეულის სარაგბო კლუბ „ვეფხვებს“ არასდროს აკლდა ყურადღება როგორც სახელმწიფოს, ისე კერძო სექტორის მხრიდან. თუმცა, გუნდის უმაღლეს ლიგაში გადასვლამ აქტიურად დააყენა დღის წესრიგში პატარძეულის სპორტული სტადიონის ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხი. ამ მიმართულებით ბოლო დროს მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა:

- გაკეთდა გასახდელები საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ხელშეწყობით;
- ტრიბუნები მოეწყო თავად სარაგბო კლუბის სახსრებით;
- მოეწყო ტაბლო და შეიცვალა განათება ნავთობკომპანია KBOC-ის დაფინანსებით;
- აღსანიშნავია ისიც, რომ გუნდს აქტიურად უდგას გვერდით საგარეჯოს მაჟორიტარი დეპუტატი - პარლამენტის წევრი რომან მუჩიაშვილი. მისი ინიციატივითა და ხელშეწყობით დაიწყო სტადიონზე თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ბალახის საფარის მოწყობის სამუშაოები, რომელიც უამინდობის გამო დროებით შეჩერებული იყო.

წესრიგდება შიდა საუბნო გზები

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფლებში:

ხაშმი, პატარძეული, ქეშალო, კაზლარი, თუარი ჩატარდა შიდა საუბნო გზების მოხრეშვა - მოშანდაგების სამუშაოები. სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად 66 650 ლარი ადგილობრივი ბიუჯეტიდან იქნა გამოყოფილი.

მალე ახალი საზოგადოებრივი ცენტრი გაიხსნება
სოფლიდან გაუსვლელად

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ უდაბნოში საზოგადოებრივი ცენტრის მშენებლობა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო ევროკავშირის მხარდაჭერით ახორციელებს პროექტს -„ ელექტრონული მმართველობის დანერგვა ადგილობრივ თვითმმართველობებში“. სწორედ ამ პროექტის ფარგლებში შენდება „საზოგადოებრივი ცენტრი“, რომლის ეზოს კეთილმოწყობა ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით განხორციელდება. ცენტრი იქნება თანამედროვე ინფრასტრუქტურით და უახლესი ტექნიკით აღჭურვილი სივრცე, სადაც დასაქმდებიან საგანგებოდ შერჩეული და გადამზადებული ადგილობრივი კადრები. აქვე გამოყოფილი იქნება სპეციალური სივრცე სამოქალაქო ჩართულობის ხელშესაწყობად. მოსახლეობას შეეძლება უფასო ინტერნეტით, კომპიუტერებით, ვიდეო კონცეფციის აპარატურითა და თანამედროვე ელექტრონული ბიბლიოთეკით სარგებლობა. „საზოგადოებრივი ცენტრის“ მეშვეობით, მოსახლეობას საშუალება მიეცემა, სოფლიდან გაუსვლელად ისარგებლოს 200-ზე მეტი საჯარო და კერძო სექტორის სერვისით. აღსანიშნავია, რომ ქვეყნის მასშტაბით უკვე ფუნქციონირებს 56 ცენტრი. უდაბნოში მშენებარე ობიექტის ჩათვლით, ქვეყანაში წლის ბოლომდე კიდევ 10 ასეთი ცენტრი გაიხსნება.

გაიწმინდა კანალიზაცია

სოფელ უდაბნოში საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის, გიორგი ჟორჟოლიანის ინიციატივითა და ორგანიზებით, კანალიზაციის სისტემის გაწმენდა დაიწყო. ყურადღება განსაკუთრებით იმ მონაკვეთებზე გამახვილდა, სადაც გამტარუნარიანობა გაუარესებული იყო.

სამუშაოებში აქტიურად იყვნენ ჩართული ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლები.

გაწმენდითი სამუშაოები უახლოეს დღეებში გაგრძელდება.

მოლოდინი, რომელიც ათეული წლების შემდეგ ახდა

სოფელ კოჭბაანის ცენტრალურ გზაზე გარე განათების სისტემა მოეწყო.

გარე განათების მოწყობის სამუშაოები შპს „მარდიმ“განახორციელა.

პროექტის ფარგლებში 57 ღამის სანათი დამონტაჟდა.

პროექტზე ადგილობრივი ბიუჯეტიდან 33629 ლარი დაიხარჯა.

აღსანიშნავია, რომ გარე განათების სისტემის მოწყობის სამუშაოები ქალაქ საგარეჯოში ჯაფარიძის ქუჩაზე, საგარეჯო – ნინოწმინდის დამაკავშრებელ ცენტრალურ გზაზე და სოფელ გომბორში უახლოეს მომავალში დაიწყება.

განათლება

ნახევარსაუკუნოვანი სკოლის დღევანდელობა

***მანავის** საჯარო სკოლას თავისი არსებობის 50-წლიანი ისტორია აქვს. სადღეისოდ იგი ორ სასწავლო კორპუსშია განთავსებული, რომლებიც სხვადასხვა დროსაა აშენებული. მათგან პირველი ორსართულიანი შენობა 1965 წელს შევიდა ექსპლოატაციაში, სადაც მანავის II საშუალო სკოლამ დაიდო ბინა. მეორე სამსართულიანი კორპუსი მას 1979 წელს მიაშენდა. აშენდა სპორტული დარბაზი, 2008 წელს კი მოეწყო ღია სპორტული მოედანი. 2007 წელს საგანმანათლებლო დაწესებულებათა ოპტიმიზაციის შედეგად მეორე საშუალო სკოლას შეუერთდა ზემო მანავში მდებარე I საშუალო სკოლა. 2015 წელს სკოლას დაარსებიდან 50 წელი შეუსრულდა.*

თავისი ნახევარსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე აქ მანაველთა მრავალი თაობა აღიზარდა, რომლებიც დღეს უკვე ჩაბმული არიან შრომით საქმიანობაში. მათ შორის ამ სკოლის აღსაზრდელები დღეს უკვე მასწავლებლის რანგში ემსახურებიან აქაური მოსწავლე-ახალგაზრდობის სწავლა-განათლების საქმეს.

იმის შესახებ, თუ რა კეთდება სოფლისა და ჩვენი ქვეყნის დირსეული მომავალი თაობების აღსაზრდელად, გვესაუბრება ამ სკოლის** დირექტორი* **ლია ყორღანაშვილი.

– 2018-2019 სასწავლო წლისთვის, – ***გვითხრა მან,*** – მანავის საჯარო სკოლაში 376 მოსწავლე ირიცხება. აქედან, პირველ კლასში – 42 და დამამთავრებელ XII კლასში – 26 მოსწავლეა. სკოლაში გახსნილია 17 ფინანსური კლასი; მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის საქმეს ემსახურება 40 პედაგოგი, რომელთაგან ხუთი სერტიფიცირებულია. ესენი არიან: ქართული ენა-ლიტერატურის მასწავლებელი მანანა დაბახიშვილი, მათემატიკის მასწავლებელი ნანა ბარბაქაძე, ისტორიის მასწავლებელი მარიამ მასურაშვილი, რუსული ენის მასწავლებელი ეკატერინე ბურთიკაშვილი და ინგლისური ენის მასწავლებელი თეა ჭინჭარაძე. სკოლას გააჩნია 20 კაბინეტ-ლაბორატორია, გახსნილია ქორეოგრაფიული, მუსიკისა და ბერძნულ-რომაული ჭიდაობის წრეები.

– რამდენადაც ვიცი, თქვენი სკოლის მოსწავლეები წარმატებულად მონაწილეობენ სხვადასხვა დონის სასწავლო-შემოქმედებით ღონისძიებებში, კონკურსებსა და პროექტებში. თუ შეიძლება ცოტა ამის შესახებაც გვიამბოთ.

– ჩვენი სკოლის მოსწავლე-ახალგაზრდობა აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა სახის, როგორც რაიონულ, ისე რეგიონულ ღონისძიებებში, კონკურსებსა და პროექტებში, სადაც მოპოვებული გვაქვს სხვადასხვა წარმატებები. სკოლების საგრანტო დაფინანსების პროექტების „თავისუფალი გაკვეთილები“, „ჩემი საყვარელი წიგნი“, „ჩვენ ვაუკაცობა ოდითგან მოგვდგამს“, „რა განძი გვქონია“ გრანტის სახით 1800 ლარი მოიპოვეს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სასკოლო ინიციატივების წახალისების ქვეპროგრამის „კერამიკული ნაკეთობების (ქვევრები) და სამშენებლო აგურის დასამზადებელი საჭირო თიხის მასალების კვლევის“ ფარგლებში მოვიპოვეთ გრანტი 1500 ლარი.

სკოლის X-XI კლასების მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ მოსწავლეთა შემოქმედებით კონფერენციებში. ისტორიის მასწავლებლის მარიამ მასურაშვილის ხელმძღვანელობით მოსწავლეები მონაწილეობდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ კონკურსში, რომელიც საქართველოს ცენტრალური არქივის ინიციატივით გაიმართა. სკოლაში ფუნქციონირებდა „დებატკლუბი“, რომელშიც IX-X კლასების მოსწავლეები იღებდნენ მონაწილეობას (ხელმძღვანელი მარიამ მასურაშვილი) და სხვა.

– რას გვეტყოდით საქართველოს ეროვნულ გამოცდებში თქვენი სკოლის გასული წლის სკოლადამთავრებულთა წარმატებების შესახებ?

– გასულ სასწავლო წელს ჩვენი სკოლა ოცდაათმა ახალგაზრდამ დაამთავრა, რომელთაგან ეროვნული გამოცდები 11-მა ახალგაზრდამ ჩაბარა. აქედან ორმა – დავით როსტიაშვილმა და გიორგი ავაქიშვილმა მოიპოვეს 50%-იანი გრანტი.

– უკვე ერთი წელია სკოლის სპორტულ დარბაზში ფუნქციონირებს ბერძნულ-რომაული სტილის ჭიდაობის წრე, რას გვეტყოდით მასში გაერთიანებული სკოლის მოსწავლეების წარმატებებზე?

– ბერძნულ-რომაული ჭიდაობის წრეში, რომელიც დაარსდა აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ მწვრთნელების თამაზ ყიფიანის და ვასილ მარტიაშვილის ინიციატივით, სკოლის 16 მოსწავლეა გაწვევრიანებული. მათგან სხვადასხვა ტურნირებში ორი ოქროსა და ორი ბრინჯაოს მედალი აქვს მოპოვებული გუგა მუნჯიშვილს (20 კგ-ში), მის ძმას ოთარ მუნჯიშვილს (23 კგ) – ორი ბრინჯაოს მედალი, ოთარ ვაჭრიშვილს (38კგ) ერთი ბრინჯაოს მედალი, მერაბ დოდონაძეს (42კგ) ოთხი ბრინჯაოს მედალი, ნიკა მახარობლიშვილს – ერთი ბრინჯაოს მედალი. აღსანიშნავია წრეში გაერთიანებული გოგონების – ნანა მახარობლიშვილისა და ანა ტაკაშვილის წარმატებები, რომლებმაც საქართველოს პირველობაზე მესამე ადგილები დაიკავეს. ამჟამად ნანა მახარობლიშვილი იმყოფება ქ. ბორჯომში საქართველოს ბერძნულ-რომაული ჭიდაობის გოგონათა ნაკრების შეკრებაზე.

სკოლას ასევე საამაყოდ აქვს ჭიდაობა სამბოსა და ძიუდოში ჩვენი მოსწავლეების ონისე ბორაშვილისა და სანდრო ათუაშვილის მიღწევები.

– რას გვეტყოდით სკოლის კვების ბლოკის მუშაობისა და სასმელი წყლით მომარაგების შესახებ?

– სკოლაში ფუნქციონირებს სასკოლო ბუფეტი, სადაც იყიდება უსაფრთხო კვების პროდუქტები. რაც შეეხება სასმელ წყალს, იგი მოგვეწოდება გრაფიკით.

– სოფლის სკოლების ოპტიმიზაციის შედეგად ზემო მანავისა და სხვა უბნების მოსწავლეებს სასწავლო კერა დაუშორდათ და პრობლემური გაუხდათ სკოლაში გადაადგილება...

– პრობლემა დიდი ხანია მოგვარებულია. ამ უბნების მოსწავლეთა გადაადგილება 2015-2016 წლიდან ხდება მიკროავტობუსის მეშვეობით, რომელიც მოძრაობს სამი მიმართულებით: ზემო მანავი-ტურის უბანი-ბურდიანი.

– აგვიცილდა და დღის წესრიგში დადგა გათბობის პრობლემა, როგორ ხვდება თქვენი სკოლა ამ გამოწვევას?

– სკოლაში გათბობა ჯერ-ჯერობით ხდება შეშის ღუმელებით. პერსპექტივაშია ბუნებრივი აირის შემოყვანა და ცენტრალური გათბობის მოწყობა, რაც იმედია მალე დადებითად გადაწყდება.

– ცენტრალური გათბობის მოწყობის გარდა სხვა პრობლემებიც თუ გაქვთ?

– სკოლის ძირითადი პრობლემა ისაა, რომ დღიდან დაარსებისა სკოლის შენობას, გარდა კოსმეტიკური სახის სამუშაოებისა, არავითარი კაპიტალური რემონტი არ ჩატარებია, ამიტომ მართლაც აუცილებლად გვესაჭიროება სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება – განსაკუთრებით ეს სკოლის ინტერიერსა და საკლასო ოთახებს სჭირდება. თუმცა ჩვენი სკოლის დირექცია, მთელი პედაგოგიური კოლექტივი ამ პირობებშიც ძველებური ერთგულებით ვემსახურებით ჩვენს წინაშე მდგომ მომავალი თაობების აღზრდის დიდმნიშვნელოვან საქმეს და ვიმედოვნებთ, რომ წინ უფრო ნათელი და უკეთესი მომავალი გველის.

***ესაუბრა** გივი დაბახიშვილი*

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში

აქ ფრთიანდება სოფლისა და ქვეყნის მომავალი

***მანავის №1** სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება თავის ისტორიას გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან ითვლის, რომლის შემდეგაც უდალატოდ ემსახურება სოფლის მომავალი თაობების აღზრდისა და განათლების საქმეს.*

ახალი ათასწლეულის დასაწყისს თითქმის ნახევარსაუკუნოვანი დაწესებულების ნაგებობამ საკმაოდ შელახული იერ-სახით მოაღწია, რაც საკმაო დისკომფორტს უქმნიდა მის აღსაზრდელებსა თუ მათ აღმზრდელებს.

– გაუსაძლის, საკმაოდ რთულ პირობებში უხდებოდა იმ წლებში მუშაობა აქ დასაქმებულ პერსონალს, რაც, რა თქმა უნდა, უარყოფითად მოქმედებდა მანაველი პატარების სწავლა-აღზრდის საქმეზე, – ***დაწესებულებაში მისულს გვიყვება სააღმზრდელო დაწესებულების მენეჯერი** ნინო დალაქიშვილი.*

– ყველაფერი დაწყებული იატაკიდან და შენობის სახურავით დამთავრებული, ამორტიზებული და შესაცვლელი იყო, მაგრამ ეს იყო 2013 წლამდე, ვიდრე ხელისუფლების სათავეში პარტია „ქართული ოცნება“ არ მოვიდა, ამ გასაჭირს საშველი არ დაადგა.

2013 წელს კი ახდა საბავშვო ბაღის პედაგოგ-აღმზრდელებისა და მათი აღსაზრდელების მშობლების ოცნება და ინფრასტრუქტურული დაფინანსების პროექტით დაიწყო დაწესებულების შენობის კაპიტალური რემონტი. კედლების გარდა შეიცვალა და თანამედროვე ევროსტანდარტების დონეზე გარემონტდა თითქმის ყველაფერი – ბავშვების სამეცადინო და დასასვენებელი ოთახები, სამზარეულო, საკუჭნაო, მოეწყო სველი წერტილები, ცენტრალური გათბობა, რაც ამ დღეებში ამოქმედდა კიდეც. ისე, რომ მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვის მხრივ ჩვენი საადმზრდელო დაწესებულება თითქმის არაფრით ჩამოუვარდება არა მარტო საგარეჯოს მუნიციპალიტეტის, არამედ ქვეყნის სხვა მსგავსი ტიპის დაწესებულებებს – ***მეუბნება ქ-ნი ნინო და სიამაყით მათვალიერებინებს სანიმუშოდ მოვლილ, დასუფთავებულ ოთახებს.*** – საადმზრდელო დაწესებულების ამ სისუფთავეს დამლაგებელი ლეილა შოთაძე უზრუნველყოფს. როგორც იტყვიან, მთელ დღეს მისი ხელი არ გაჩერდება, აგერ ახლაც იატაკის საწმენდი უჭირავს ხელში და ხელმეორედ წმენდს აქაურობას. ნახეთ, როგორი სისუფთავეა სამზარეულოში, პროდუქტების საკუჭნაოში, რაც მზარეულ მზია ბორაშვილის დამსახურებაა. პროდუქტებს ყოველ 10 დღეში ვიღებთ და საკუჭნაოში ვინახავთ. გვაქვს 2 მაცივარი, ყველაფერი სათანადოდ დაცული და დაკონტეინერებულია, – აგრძელებს საუბარს მენეჯერი.

– თვითონ კვების რაციონი როგორია, ანუ რით იკვებებიან ჩვენი პატარა მანაველი თანამედამულეები? – პირველ შეკითხვას ვუსვამ „მასპინძელს“.

– როგორც მოგეხსენებათ, ჩვენს დაწესებულებებში ბავშვების კვება უფასოა, ანუ სახელმწიფო აფინანსებს. ყოველ ბავშვზე გათვალისწინებულია 2,41 ლარის კვება. რაც შეეხება რაციონს, აქ შედის ძროხის ხორცი, ქათამი, ყველანაირი ბურღულეული, ბოსტნეული, ხილი, რძის ნაწარმი – კარაქი, არაჟანი, კვერცხი, ორცხობილა, კანფეტი და სხვა. ბავშვების კვება სამჯერადია, დილით, შუადღეს და საღამოსთვის, რადგან ისინი ჩვენთან დილის 9 საათიდან საღამოს 5 საათამდე არიან.

– წინა წლებში დაწესებულების ერთ-ერთ ძირითად პრობლემას სასმელი წყლის დეფიციტიც შეადგენდა. ამჟამად რა მდგომარეობაა ამ მხრივ?

– ჩვენმა ხელისუფლებამ სხვა საკითხებთან ერთად იზრუნა ამ პრობლემის მოგვარებაზეც და თუ ადრე დასალევად სამყოფი წყალიც კი არ გვქონდა, ახლა დაწესებულება წყლის ორგვარი მიწოდებითაა უზრუნველყოფილი – ერთია სოფელში ადრე არსებული სასმელი წყლის მაგისტრალიდან, მეორე კი ამას წინათ მოწყობილი არტეზიული ჭის ქსელიდან. სწორედ ამით მივაღწიეთ შენობაში ამ სანიმუშო სისუფთავეს, რის გარეშეც ძნელი იქნებოდა ჩვენი დაწესებულების ნორმალური ფუნქციონირება. ასევე, ბავშვებისათვის სასმელად ვიღებთ ეკოლოგიურად დაცულ და სუფთა დაბეჭდილ წყალს.

– ბოლო ათეული წლებია საქართველოში ბავშვთა კონტიგენტის საკმაო შემცირება შეინიშნება, თქვენს დაწესებულებაში როგორაა ამ მხრივ საქმე, რამდენი აღსაზრდელი გყავთ მიმდინარე წლისათვის?

– მანავის №1 სკოლამდელ საადმზრდელო დაწესებულებაში მიმდინარე სასწავლო წლისათვის 65 აღსაზრდელია აღრიცხული, რომლებიც ორ ასაკობრივ ჯგუფში არიან გადანაწილებულნი: 3-4 წლიანი და 5-6 წლიანებში. აქედან, 3-4 წლიანთა ჯგუფში 30 ბავშვია, 5-6 წლიანებისაში – 37 აღსაზრდელი. თავის მხრივ ამ ჯგუფებში ასაკისდამიხედვით გახსნილია ორ-ორი ჯგუფი. 3-4 წლიანთა ჯგუფის აღმზრდელ-მასწავლებლები არიან მზია სოროზნიშვილი და ოქტიაბრია ხუციშვილი, 5-6 წლიანების ჯგუფში – თამუნა ბეგაშვილი და ლია დოხტურიშვილი. ჯგუფს აგრეთვე ემსახურებიან აღმზრდელის თანაშემწეები.

– საუბრის დასაწყისში დაწესებულების აღსაზრდელთა საკვებ პროდუქტებს შევეხეთ, რაც საჭიროა მათი ზრდა-განვითარებისათვის. ამასთან ერთად რა საზრდო მიეწოდებათ მათ გონებრივი და სულიერი სიმწიფის მისაღწევად?

– როგორც ახლახანს აღვნიშნე, ყოველ ჯგუფში გახსნილია ორი ქვეჯგუფი, აქედან, ერთში ხდება თამაში, მეორეში – სწავლება. 5-6 წლიანთა ჯგუფისათვის არსებობს სპეციალური სასწავლო-საადმზრდელო პროგრამა „მზაობა სკოლისათვის“, რის მიხედვითაც ვასწავლით ბავშვებს, რათა აქედანვე ადაპტირებულნი მივიდნენ სკოლაში სასწავლებლად. ეს პროგრამა მომზადებულია ილიას სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სკოლამდელი და ინკლუზიური განათლების ცენტრში, თბილისის მერიის და გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით. ასევე გაგვაჩნია შესაბამისი მათემატიკური ტესტები, საბავშვო ქრესტომათიები, სავარჯიშოები ბავშვებში წერა-კითხვის უნარების განსავითარებლად და ა.შ.

დაწესებულების აღსაზრდელებში დიდი პოპულარობით სარგებლობს სხვადასხვა სახალხო და რელიგიურ თარიღებთან, წელიწადის დროებთან დაკავშირებული ზეიმების, ღია მეცადინეობების მოწყობის პრაქტიკა, რომლის მონაწილენი და აქტიური შემსრულებლები თვითონვე არიან. ამ ღონისძიებების მუსიკალურ გაფორმებაში მათ მუსიკის მასწავლებელი მარიკა მასურაშვილი ეხმარებათ. სულ ახლახანს მოვაწყეთ შემოდგომის თემისადმი მიძღვნილი მსგავსი ღონისძიება და ვემზადებით საახალწლო კარნავალისათვის. ასევე, კავშირ-ურთიერთობა გვაქვს დამყარებული ჩვენი მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სკოლამდელი საადმზრდელო დაწესებულების მუშაკებთან. ერთმანეთს ვუზიარებთ ჩვენი მუშაობის გამოცდილებას, სიახლეებს, რაშიც აქტიურად გვეხმარებიან ჩვენი ზემდგომი – აიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საადმზრდელო დაწესებულებათა გაერთიანების ხელმძღვანელობა. პირადად ინტერნეტის მეშვეობით დაკავშირებული ვარ თბილისის კერძო ბაღის „ჰეფი ჩაილდის“ (ბედნიერი ბავშვობა) კოლექტივთან, რის მეშვეობითაც ვიგებ ბევრ სიახლეს და ვცდილობთ ჩვენს მუშაობაში დანერგვისა და გადმოტანისათვის. ერთი სიტყვით, ჩვენი დაწესებულების მუშაკებს კარგად გვაქვს გაცნობიერებული ჩვენზე დაკისრებული მოვალეობა და ყველაფერს ვაკეთებთ, რომ მანაველ პატარებს აქედანვე მტკიცედ ჩავუნერგოთ ის ჩვევები და უნარები, რასაც ჩვენი ქვეყანა მათგან მომავალში მოითხოვს.

გივი დაბახიშვილი

№22(180) 2018 წელი, 16-30 ნოემბერი

მართლმადიდებლობა

23 ნოემბერი _ გიორგობა

წმინდა გიორგი – ქრისტიანობის უდიდესი წმინდანი

მართლმადიდებლური სამოციქულო ეკლესია წმინდა გიორგის დღესასწაულს წლის განმავლობაში ორჯერ აღნიშნავს: 6 მაისს – წმინდა გიორგის გარდაცვალების დღეს და 23 ნოემბერს – ბორბალზე წამების დღეს.

როგორც ცნობილია, წმინდა გიორგი მართლმადიდებლური სამყაროს, მართლმადიდებლური სამოციქულო ეკლესიის უდიდესი წმინდანია. იგი ერისკაცობაში იმპერატორის კარზე მხედართმთავარი იყო. იმპერატორი მას თავის ტახტს და თავის ქალიშვილზე ქორწინებას ჰპირდებოდა. ამით იგი დიდი იმპერიის იმპერატორს ქრისტიანობასთან მედგარ ბრძოლაში დაეხმარებოდა, მაგრამ... მან ჭეშმარიტების, რწმენის და ქრისტიანობის გზა აირჩია – იგი ქრისტიანობასთან მებრძოლი მხედართმთავრის ნაცვლად ქრისტიანობის დამცველად გადაიქცა. სწორედ ამის გამო იმპერატორმა მას განსაცდელი მოუწყო და მისი დასჯისათვის წამების არნახული, ახალი იარაღებიც კი შექმნა. გამოიგონეს საწამებელი ბორბალი, რომელზეც დანები სხვადასხვა მხარეს იყო განლაგებული. ჰაერში ჰორიზონტალურ მდგომარეობაში წმინდა გიორგი ჰყავდათ ჩამოკიდებული, რომელსაც დანები ქვემოდან სერავდნენ და ადამიანი სისხლისგან იცლებოდა. მაგრამ ყოველი ასეთი წამების, ბორბლის დატრიალების შემდეგ, წმინდა გიორგის სხეული, სულთან ერთად აღმდგარი, სხეულგამთლიანებული და სიცოცხლისუნარიანი ხდებოდა.

სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ იმის მაგივრად, ხალხს ზურგი ექცია ქრისტიანობისთვის, პირიქით, ათასობით ადამიანი ქრისტიანად მოინათლა. ამით – წმინდა გიორგის მოწამეობამ იმპერატორი დეოკლიტიანე და მისი წარმართული მრავალღმერთიანობა დაამარცხა.

წმინდა გიორგიმ კარგად იცოდა, რომ ქრისტიანობა დიდებისგან, კარიერული წინსვლისაგან გასვლა, უარის თქმაა. ამასთან, თავმდაბლობა. ამიტომაც, შეიგრძნო რა ქრისტიანობის არსი, უარი თქვა მხედართმთავრის დიდებულ თანამდებობაზე, უარი თქვა იმპერატორის ასულის შერთვაზე, კარიერის უმოკლეს გზაზე, იმპერიის კარის პირველკაცობაზე. სწორედ მან, IV საუკუნეში მოწამეობრივი გზით სიცოცხლეშივე წმინდანად აღიარებულმა წმინდა გიორგიმ ქრისტეს გზით მაგალთ ვაჟკაცობის, თავმდაბლობის, თავგანწირვის მაგალითი მისცა.

ხოდა, რა გასაკვირია, თუ ქართველი კაცისთვის წმინდა გიორგი უფრო ახლობელი, მისიანი გახდა დღიდან საქართველოში ქრისტიანობის შემოსვლისა და ეს შემოსვლაც სწორედ იმ საუკუნეს დაემთხვა, როდესაც წმინდა გიორგი ქრისტესთვის, მისი სიყვარულისა და ერთგულებისთვის ეწამა. მაგრამ საინტერესოა ისიც, რომ ჯერ კიდევ წარმართულ საქართველოს თავისი გმირი, გამარჯვებისა და ვაჟკაცობის სიმბოლო – თეთრი გიორგი ჰყავდა. და როცა წმინდა გიორგის ხსენების დღე დაწესდა, ქართველების გმირი თეთრი გიორგი, კაბადოკიელი წმინდა გიორგის სახელს შეერწყა და თეთრ ცხენზე ამხედრებულს ახლაც ვხვდებით ფრესკებზე გამოსახულს – ორი გიორგის ერთ სახედ გამოსახულს. წმინდა გიორგის ხატზე დღეს ცხენზე ამხედრებულს თუ ცხენის გარეშე ვხვდებით – გველეშაპის, ბოროტების დასამარცხებლად მას ლახვრით ხელში მომზადებულს ვხედავთ.

მაგრამ საყურადღებოა ისიც, რომ არის ხატი, რომელზეც გამოსახულია წმინდა გიორგის მიერ დამარცხებული გველეშაპი – ბოროტების, ცთომილების და უარყოფითი ძალების სიმბოლო მიჰყავს ლასიის მეფის სელინიოსის ქალიშვილთან. ეს კი ნიშნავს იმას, რომ წმინდა გიორგი იმდენად დათრგუნავს ბოროტებას – გველეშაპს კი არ კლავს და განგმირავს შუბით, არამედ დათრგუნულ ბოროტებას დადებითად აამოქმედებს – დამორჩილებულს და მოთვინიერებულს მეფის ასულის მომავალი დედოფალის სამსახურში ჩასაყენებლად მიიყვანს. სწორედ ამაშია ქრისტიანობის სიბრძნე – ბოროტების სიკეთეში გადაყვანა და მისი სასიკეთო ძალად გამოყენება. სწორედ ასეთი უყვარს ქართველ კაცს წმინდა გიორგი, რომლის სახელობის უამრავი ტაძარია საქართველოში. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 20-30-იან წლებში, როცა გუმბათს უნგრევდნენ ეკლესია-მონასტრებს, როცა ჯვარს ფეხქვეშ თელავდნენ, როცა 70 წლის განმავლობაში სახარებას დაფარული ქრისტიანების წიგნის განსაკუთრებულ თაროებს აფარებდა თავს, როცა ქრისტიანობა იდევნებოდა, საქართველოში წმინდა გიორგის იმდენი ტაძარი და სამლოცველო იყო, რამდენი დღეც წელიწადში. იმასაც ამბობდნენ, წმინდა გიორგის წამებისას მისი სხეული 363 ნაწილად იშლებოდა და ისევ ერთიანდებოდა, ერთ სხეულად იქცეოდა.

საუკუნეებია საქართველოში დიდ პატივს მიაგებენ წმინდა გიორგის. სწორედ აქ, საქართველოში ინახება წმინდანის წმინდა ნაწილები: თავის ქალა, ხელის ნეკა თითი, ბარძაყის ნაწილი და სხვა.

წმინდა გიორგის საფლავი

წმინდა გიორგის საფლავი მდებარეობს წმინდა მიწაზე. წამების შემდეგ იგი ქალაქ ლოდში დაკრძალეს. მეოთხე საუკუნეში საფლავზე ბიზანტიური ტიპის ტაძარი აიგო, რომელიც მეშვიდე საუკუნეში სპარსელების შემოსევების შემდეგ დაინგრა. მეთერთმეტე საუკუნეში აღნიშნული ეკლესიის ნარჩენებზე აშენდა ახალი ტაძარი – ინგლისის მეფის რიჩარდ ლომგულის მიერ, რომელიც XIII საუკუნეში დაინგრა და მის ნანგრევებზე აშენდა მეჩეთი. მიუხედავად ამისა, 1860 წლის მიწურულში რუსეთის საიმპერატორო ოჯახის და რუსეთის წმინდა გიორგის კავალრების მიერ დაიწყო დანგრევისაგან გადარჩენილი (გადარჩა საკურთხეველი, ორი ბოძი, ერთი აფსიდი და ერთი კედელი) ტაძრის აღდგენა. ეკლესია 1861 წლის 16 ნოემბერს გახსნეს, სადაც წმინდა გიორგის მუდამ მირონმდინარე საფლავია.

მოამზადა ო. ილაურმა

ჭადრაკი

ნანა იოსელიანის თასზე

23 ნოემბერს გურჯაანში ჩატარდა ნანა იოსელიანის სახელობის გუნდური საჭადრაკო ტურნირი 13 წლამდე ასაკში, რაც ფაქტობრივად კახეთის ჩემპიონატს წარმოადგენს. გასულ წელს საგარეჯოს გუნდმა, რომელშიც 4 ვაჟი და ორი გოგონა შედის, პირველი ადგილი და ნანა იოსელიანის თასი მოიპოვა. სამწუხაროდ, ჩვენმა გუნდმა ვერ შეძლო ტიტულის დაცვა და მიუხედავად იმისა, რომ არც ერთი შეხვედრა არ წაუგია, მესამე ადგილს დასჯერდა. პირველივე ტურში ფრედ (3:3) დამთავრდა შეხვედრა ლაგოდეხის გუნდთან. შემდეგ ასეთივე ანგარიში დაფიქსირდა თელავთან და გურჯაანთან. დანარჩენ გუნდებთან (სულ 9 გუნდი იყო) ჩვენმა მოჭადრაკეებმა გამანადგურებელი ანგარიშით (6:0) მოიგეს. თელავმა კი დაამარცხა ლაგოდეხიც და გურჯაანიც და თასის ბედიც გადაწყვიტა. საგარეჯოს და გურჯაანს თანაბარი ქულები დაუგროვდათ, მაგრამ იმის გამო, რომ გურჯაანს მეტი მოგება ჰქონდა, მეორე ადგილი მათ მიეკუთვნათ. საგარეჯოს გუნდში იყვნენ: ლევან დალბაშვილი (8 მოგება), ზუკა გამრეკელაშვილი (7 მოგება), იოანე ინაშვილი (5 მოგება), ფართლი საბრი (6 მოგება), ნინი ესაიაშვილი (8 მოგება) და მარიამ აგულაშვილი (5 მოგება), გუნდის კაპიტანი იყო ირაკლი ქვლივიძე.

ძიუდო

სპორტი

იზრდებიან მომავალი მსოფლიო ჩემპიონები

დასასრული

2006-2009 წლებში დაბადებული ძიუდოისტები.

ტურნირის გახსნას დაესწრნენ და ნორჩ სპორტსმენებს უგულშემატკივრეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ვიზიტად მყოფმა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ შალვა გოგოლაძემ, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი ერბოწონაშვილმა, საგარეჯოს მაჟორიტარმა დეპუტატმა, პარლამენტის წევრმა რომან მუჩიაშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარემ ოთარ ჩალათაშვილმა, მერის მოადგილეებმა ალექსი გილაშვილმა და პაატა ასრათაშვილმა, აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების" დირექტორმა მამუკა კურდღელაშვილმა და სახელოვანმა მოჭიდავეებმა.

პირველი დღე საჭიდაო დარბაზი 2006-2007 წლებში დაბადებულ ბავშვებს დაეთმო; მეორე დღე კი 2008-2009 წლებში დაბადებულმა ნორჩმა ძიუდოისტებმა იასპარეზეს. გათამაშდა გიორგი რევაზიშვილის სახელობის თასი და მედლები.

შალვა გოგოლაძის შეფასებით, მისასალმებელი და საამაყოა, რომ ცნობილ ფალავანთა სამშობლოში - საგარეჯოს მუნიციპალიტეტში აქტიურად გრძელდება ჭიდაობის ტრადიციები, რაც ხელს უწყობს ნიჭიერი და პერსპექტიული თაობების აღზრდას. მისივე თქმით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო გეგმავს, კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციასთან და ადგილობრივ თვითმმართველობასთან მჭიდრო თანამშრომლობით, მაქსიმალურად შეუწყოს ხელი საგარეჯოს მუნიციპალიტეტში სპორტის განვითარებასა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.

საგარეჯოელმა ძიუდოისტებმა წონითი კატეგორიების მიხედვით დაიკავეს შემდეგი ადგილები:

2006-2007 წლიანებში

24 კგ წონით კატეგორიაში – საბა ოდიკაძემ დაიკავა II ადგილი, 30 კგ წონით კატეგორიაში – შოთა ბაჩოშვილმა – I ადგილი და ვახო ჭიაბერაშვილმა – II ადგილი; 34 კგ წონით კატეგორიაში – ონისე ბორაშვილმა – III ადგილი; +60 კგ წონით კატეგორიაში – ბექა დიღმელაშვილმა – II ადგილი.

2008-2009 წლებში დაბადებულთა შორის:

23 კგ წონით კატეგორიაში – საბა ოდიკაძე და ალეკო ბეჟიაშვილი (ორივე მესამე ადგილი); 26 კგ წონით კატეგორიაში – მერაბ ზირაქაშვილი – III ადგილი; 29 კგ წონით კატეგორიაში – ილია ჯაფოშვილი – III ადგილი; 32 კგ წონით კატეგორიაში ვახო ჭიაბერაშვილი და ლადო მაჩურიძე – ორივე პირველი ადგილი.

ჭადრაკის ფედერაციის თასზე

7-14 ნოემბერს თბილისის ჭადრაკის სასახლეში ჩატარდა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის თასის (ალექსანდრე ჩიკვაიძის სახელობის) გათამაშება 8, 10 და 12 წლის ჭაბუკთა და გოგონათა შორის, რომელშიც საქართველოს თითქმის ყველა რეგიონის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. 10 წლამდე გოგონათა შორის წარმატებით იასპარეზა ნინო ესაიაშვილმა (მწვრთნელი ელენე ფარეშიშვილი), რომელმაც 7 შესაძლებლობიდან 5 ქულით მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა, ბრინჯაოს მედალი და ფულადი პრიზი მოიპოვა.

ასევე 5 ქულა მოაგროვა 12 წლამდე ჭაბუკთა შორის ზუკა გამრეკელაშვილმა (მწვრთნელი ირაკლი ქვლივიძე), მაგრამ, რადგანაც 5 ქულა 4 მოჭადრაკეს ჰქონდა და II-V ადგილები ეკავათ, ზუკას რეიტინგის მიხედვით მე-4 ადგილი ერგო და მედლის გარეშე დარჩა.

„რაჭა-2018"-ზე

ახლახან რაჭაში ჩატარდა რესპუბლიკური ტურნირი „რაჭა-2018", სადაც წარმატებით იასპარეზა ნინო ესაიაშვილმა (მწვრთნელი ელენე ფარეშიშვილი), რომელმაც 7 შესაძლებლობიდან დააგროვა 6.5 ქულა, ჩემპიონის ტიტული, თასი და ოქროს მედალი მოიპოვა.

სპორტული ოლიმპიადა

გამარჯვებული მეოთხესკოლელები არიან

სასკოლო სპორტული ოლიმპიადა საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მხიარული სტარტებით გაგრძელდა, რომელსაც ქალაქ საგარეჯოს მე-4 საჯარო სკოლამ უმასპინძლა. შეჯიბრის ორგანიზატორები მოსწავლე ახალგაზრდობის სპორტის ეროვნული ფედერაცია და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური არიან.

შეჯიბრში მონაწილეობდნენ ქალაქ საგარეჯოს ოთხივე საჯარო სკოლა, ასევე ყანდაურის, გიორგიწმინდის, ნინოწმინდისა და კაკაბეთის საჯარო სკოლების მოსწავლეები.

ფინალში ქალაქ საგარეჯოს მეოთხე საჯარო სკოლის გუნდმა პირველი საჯარო სკოლის თანატოლებს სძლია და გამარჯვება მოიპოვა.

შეჯიბრს ესწრებოდნენ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი არჩილ ჯაბადარი, ამავე სამსახურის თანამშრომლები ლაშა იაკობიძე და ირაკლი თულაშვილი. მათ პირველ და მეორე ადგილზე გასულ გუნდებს გამარჯვება მიულოცეს და სიგელები გადასცეს.

აღსანიშნავია, რომ მომავალი წლის გაზაფხულზე დაგეგმილ რეგიონულ ტურზე სწორედ მეოთხე საჯარო სკოლის გუნდი გაემგზავრება, რომლის ეკიპირებისა და მგზავრობის ხარჯებს მთლიანად საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერია დაფარავს.

სამბო

გარეჯელმა სამბისტმა მსოფლიო ჩემპიონატის საგზური მოიპოვა

13-15 ნოემბერს საქართველოს სამბოს ფედერაციის ინიციატივით ჩატარდა მამუკა კურდღელაშვილის (მსოფლიოს ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის – 1991 წელი. ევროპის II პრიზიორი – 1994 წელი; მსოფლიოს II პრიზიორი – 1994 წელი; მსოფლიოს ჩემპიონი სტუდენტებს შორის – 1995 წელი. მსოფლიოს მეორე პრიზიორი – 1996 წელი; ევროპის ჩემპიონი – 1997 წელი; მსოფლიოს ჩემპიონი – 1997 წელი; ევროპის III პრიზიორი – 1999 წელი; მსოფლიო თასის მფლობელი – 1999 წელი; მსოფლიო ჩემპიონი – 1999 წელი; სიდნეის ოლიმპიური თამაშების მონაწილე – 2000 წელი; მსოფლიოს II პრიზიორი – 2001 წელი; ევროპის მეორე პრიზიორი – 2004 წელი;) სახელობის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი 2002-2003 წლებში დაბადებულ სამბისტებს შორის, რომლებშიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონების, მათ შორის აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტგაერთიანების“ ნორჩი სპორტსმენები მონაწილეობდნენ.


როინ ყორღანაშვილი (შუაში)

საგარეჯოელთა საამაყოდ 66 კგ წონით კატეგორიაში პირველი ადგილი დაიკავა როინ ყორღანაშვილმა, რომელიც მიმდინარე წლის 4-5 დეკემბერს მონაწილეობას მიიღებს სერბეთში მსოფლიო ჩემპიონატში. მესამე ადგილი კი თენგო მაისაშვილმა დაიკავა 46 კგ წონით კატეგორიაში.

სპორტი

ასპარეზობენ გარეჯელი კლასიკოსები

9-11 ნოემბერს ხაშურში ჩატარდა ნიკოლოზ ხვედელიძისა და ვასო ჩოჩაშვილის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. ასპარეზობაში ქვეყნის ამ სტილის 200 მოჭიდავეს შორის მონაწილეობდა აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ კლასიკური ჭიდაობის მწვრთნელების თამაზ ყიფიანისა და ვასილ მარტიაშვილის 8 აღსაზრდელი. ორი პირველი და სამი მესამე საპრიზო ადგილი – ასეთია გარეჯელი ბერძნულ-რომაული ჭიდაობის პატარა ოსტატების შედეგი ამ ასპარეზობაში. კერძოდ, ტურნირის ჩემპიონი 20 კგ წონით კატეგორიაში გახდა მანაველი გუგა მუნჯიშვილი, ლუკა მარტიაშვილმა კი ჩემპიონის ტიტული 41 კგ წონით კატეგორიაში დაისაკუთრა.

ტურნირის III პრიზიორი 23 კგ წონით კატეგორიაში გახდა გუგა მუნჯიშვილის ძმა ოთარ მუნჯიშვილი. ოთარ ვაჭრიშვილი ბრინჯაოს პრიზიორი გახდა 38 კგ, გიგი შათირიშვილი – 41 კგ წონით კატეგორიაში. გარეჯელი კლასიკოსების მწვრთნელების განცხადებით, აღსანიშნავია ტურნირზე გუგა მუნჯიშვილის ასპარეზობა, რომელიც ფინალურ შეხვედრაში 2:0-ზე აგებდა ქუთაისელ ნიკა ჭკუასელთან, მაგრამ ბოლო წუთზე შეძლო მეტოქისათვის სამი ქულისართმევა და ჩემპიონის ტიტულის მოპოვება. უფრო იოლად“დაამთავრა ფინალური ორთაბრძოლა ლუკა მარტიაშვილმა – მან სულ რაღაც 1 წუთში დაამარცხა ნორიოელი მოწინააღმდეგე და გამარჯვებულის კვარცხლბეკზე ამაღლდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ბერძნულ-რომაული ჭიდაობის სექცია სულ ორიოდე წლის წინ ჯერ საგარეჯოში გაიხსნა, ერთი წლის წინ კი მანავში. როგორც ჩანს ამ სტილით ჭიდაობით დაინტერესება საგარეჯოელ ახალგაზრდებთან ერთად მანაველმა მომავალმა სპორტსმენებმაც გამოიჩინეს, რაზედაც მათ მიერ მიღწეული წარმატებებიც მეტყველებს. ეს კი მათი მწვრთნელების თამაზ ყიფიანისა და ვასილ მარტიაშვილის დამსახურებაა.

გივი დაბახიშვილი

ძიუდო

საგარეჯოელმა ძიუდოისტებმა თავი ისახელეს

სოფელ მარტყოფში გამართულ ამირან ტოტიკაშვილის სახელობის საერთაშორისო ტურნირში ჭიდაობა ძიუდოში აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიენების“2005-2007 წლებში დაბადებული ძიუდოისტებიც მონაწილეობდნენ, ჩვენმა ძიუდოისტებმა მართლაც თავი კარგად ისახელეს.

ტურნირში I ადგილები დაიკავეს:

30 კგ წონით კატეგორიაში – შოთიკო ბაჩოშვილმა;
38 კგ წონით კატეგორიაში – დავით კევლიშვილმა.
მეორე ადგილი:
24 კგ წონით კატეგორიაში – საბა ოდიკაძემ;
30 კგ წონით კატეგორიაში – ვახტანგ ჭიაბერაშვილმა;
34 კგ წონით კატეგორიაში – ონისე ბორაშვილმა.

III ადგილები:

27 კგ წონით კატეგორიაში – მერაბ ზირაქაშვილმა;
27 კგ წონით კატეგორიაში – ოთარ ოდიკაძემ;
30 კგ წონით კატეგორიაში – ილია ჯაფოშვილმა;
38 კგ წონით კატეგორიაში – ლაშა ტიგინაშვილმა;
42 კგ წონით კატეგორიაში – ვახტანგ ჭიაბერაშვილმა;
50 კგ წონით კატეგორიაში – ლევან კევლიშვილმა.

ფეხბურთი

რეზო ხებრელაშვილი: – „ამ შედეგით მაინც კმაყოფილი ვართ“

***როგორც** ცნობილია, საქართველოს ფეხბურთის ეროვნული ფედერაცია ყოველწლიურად ატარებს მოყვარულთა თასის გათამაშებას, რომელშიც საქართველოს სხვადასხვა, მათ შორის კახეთის რეგიონის მოყვარული ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდებიც იღებდნენ მონაწილეობას. რეგიონულ ეტაპზე ფლეი-ოფში გასულ გუნდებს შორის გამარჯვებული კი გაემგზავრება ინგლისში გასამართ მსოფლიო პირველობაზე.*

როგორც ჩვენმა გაზეთმა თავის დროზე ფეხბურთით დაინტერესებულ მკითხველს აცნობა, წლევანდელ მოყვარულთა ლიგის კახეთის რეგიონულ გათამაშებაში პირველად ჩაერთო შპს „სამი ფარის კომპანიის“ სახელით მოასპარეზე გარეჯელი მოყვარული ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდი, რომლის მთავარი მწვრთნელია რეზო ხებრელაშვილი.

*ჩვენებური მოყვარული ფეხბურთელები თავიდანვე მონდომებით ჩაებნენ რეგიონულ გათამაშებაში და საკმაო წარმატებებსაც აღწევდნენ მეტოქეებთან პაექრობაში, რის გამოც სხვა ორ გუნდთან ერთად ფლეი-ოფში გავიდნენ. კერძოდ, თუ რისი მიღწევა შეძლეს ამ გათამაშებაში, გვესაუბრება მისი მთავარი მწვრთნელი **რეზო ხებრელაშვილი**.*

– მოყვარულთა თასის კახეთის რეგიონულ ეტაპზე,– გვითხრა რეზო ხებრელაშვილმა – „სამი ფარის კომპანიის“ გუნდმა სულ 18 თამაში ჩაატარა. აქედან მოგებული გვაქვს 12 თამაში, გვაქვს სამი ფრე და ამდენივე წაგება. რაც შეეხება გატანილი და მიღებული ბურთების რაოდენობას – გატანილი გვაქვს 45 და მიღებული – 27 ბურთი, რითაც დავაგროვეთ 39 ქულა. ამდენივე ქულა დააგროვა გათამაშების მონაწილე ყვარლის „გავაზმა“ მაგრამ გვაჯობეს ბურთების შეფარდებით და დაიკავეს მეორე ადგილი, ხოლო ჩვენ გავედით მესამე ადგილზე და მოვიპოვეთ პლეი-ოფში თამაშის უფლება.

რაც შეეხება გათამაშების ლიდერს, იგი თელავის „ლოპოტაა“, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჩვენი ფეხბურთელები წელს პირველად იღებდნენ მონაწილეობას ამ გათამაშებაში, მგონი ეს ჩვენი მიღწევა ურიგო არ უნდა იყოს. სულ რეგიონულ გათამაშებაში მონაწილეობდა კახეთის 10 გუნდი.

– როგორ წარიმართა პლეი-ოფში თქვენი თამაშები?

– პლეი-ოფში პირველი თამაში „სამი ფარის კომპანიის“ ფეხბურთელებს თბილისში თენგიზ სულაქველიძის სახელობის ფეხბურთის აკადემიის სტადიონზე ადიგენის „ზარზმასთან“ მოგვიხდა, რომელიც დავამარცხეთ 5:3 და გავედით მეოთხედფინალურ გათამაშებაში. აქ ჩვენი მოწინააღმდეგე იყო თბილისის უმაღლესი ლიგის გუნდების მოთამაშეებით დაკომპლექტებული თბილისის „უქიმერიონი“, რომელსაც სათანადო მეტოქეობა ვერ გავუწიეთ და დავმარცხდით. ამით ფაქტიურად ჩვენ გამოვეთიშეთ ასპარეზობას, მაგრამ, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, როგორც ახალბედები, ჩვენი შედეგით მაინც კმაყოფილები ვართ. ან როგორ არ უნდა ვიყოთ კმაყოფილი მაშინ, როცა ჩვენზე გამოცდილი და უკეთ მომზადებული „ლოპოტას“და „გავაზის“ფეხბურთელები მერვედფინალიდან გამოვარდნენ. ჩვენ შევძელით მეოთხედფინალური მატჩების გამართვა.

– რეზო, ურიგო არ იქნებოდა ჩვენი მკითხველისათვის იმათი გაცნობა, ვისი შემართებითაც ეს წარმატება იჭედებოდა.

– ესენი არიან: მეკარეები – არჩილ ბუზარიაშვილი, დავით ხუცურაული, ზურა მარგოშვილი, მცველები – გურამ ვარძელაშვილი, აკაკი თედიაშვილი, გიორგი სულიკაშვილი, თორნიკე ფოცხვერაშვილი, ავთო ნაცვლიშვილი, გიორგი პასიკაშვილი, თემურ ჯინჯიხაძე, საბა სუხიშვილი; ნახევარმცველები – რევაზ თარიმანიშვილი, ოთარ დევდარიანი (გუნდის კაპიტანი), ლერი და თემურ ბარიხაშვილები, კაკო გაგნიაშვილი, ნიკა ჭიაბერაშვილი, გიორგი კიკნაძე, ალექსანდრე მომიტოვი, ზურა ქართველიშვილი; თავდასხმა – რამაზ თარიმანიშვილი, რამაზ ტეტიაშვილი, ირაკლი რუაძე, მიხეილ ლოლაძე, გიორგი როსტომაშვილი, გიორგი ახვერდაშვილი, დავით ბეჟიტაშვილი.

– მართლაც კარგი შედეგია დამწყების კვალობაზე თქვენი ეს მიღწევა თანაც იმის ფონზე, რომ ყველაფერი ნულიდან დაიწყეთ, არ გქონდათ სპორტული ფორმები, საკუთარი სახსრები და ა.შ. ვინ გაგიწიათ დახმარება ამ პრობლემის მოგვარებაში?

– ყველა ამ პრობლემის მოგვარება საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიისა და ქველმოქმედი ადამიანების დახმარებით შევძელით. მატჩებზე ჩვენი ტრანსპორტირების ხარჯებს გვირიცხავდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერია, რისთვისაც გუნდის სახელით მინდა მადლობა გადავუხადო მუნიციპალიტეტის მერს გიორგი ერბოწონაშვილსა და მის მოადგილეს პაატა ასრათაშვილს. კვების ხარჯებს გვიფარავდა შპს „სამი ფარის კომპანია“– ხელმძღვანელი კახაბერ და შალვა ხვთისავრიშვილები. შპს „გარეჯი-1960“-ის დირექტორმა ლაზარე დათუნაშვილმა გვათხოვა ფეხბურთელების ფორმები, ბიზნესმენმა და ჩვენი გუნდის მოთამაშემ თემურ ჯინჯიხაძემ შეგვიძინა ფეხბურთელებისათვის ფორმის ერთი კომპლექტი, მეორე კომპლექტი კი შპს „ჯეოფიტის“პრეზიდენტმა ლევან წაქაძემ. ყველას დიდი მადლობა ამ უანგარო დახმარებისა და გუნდის გვერდში დგომისათვის. მათი ეს თანადგომა, გამოჩენილი გულისხმიერება მეტ სტიმულს გვმატებს და ვეცდებით მომავალში უფრო მეტი წარმატებით გავახაროთ ჩვენი გულშემატკივრები.

გივი დაბახიშვილი

სამუსიკო სკოლა
დასაწყისიდანვე წარმატებები

საგარეჯოს ჯემალ ბურჯანაძის სახელობის სამუსიკო სკოლა (***დირექტორი ლია ბურჯანაძე***) მდიდარი სამუსიკო ტრადიციების სკოლაა. სკოლის პედაგოგების დაუდალავი შრომა და მათი მაღალი პროფესიონალიზმი ნათლად ატყვია მათი მოსწავლეების მიერ გამოვლენილ ცოდნას და მოსწავლეებში არსებული ნიჭიერების მიზანმიმართულებას. დღეს გაზეთის ამ ფურცლებზე საუბარი გვექნება სამუსიკო სკოლაში ახლადშექმნილ ***საესტრადო-ვოკალურ სტუდიაზე,*** რომლის ხელმძღვანელი ამავე ***სკოლის დირექტორის მოადგილე თეა ხატიაშვილია.***

<u>ცნობისათვის:</u> *თეა ხუთი წლის ასაკიდან თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ნიჭიერთა ათწლედში (ახლანდელი სამუსიკო გიმნაზია) სწავლობდა საკომპოზიტორო-საფორტეპიანო განყოფილებაზე. პარალელურად სწავლობდა საგარეჯოს პირველ საშუალო სკოლაში, მერვე კლასიდან კი ოჯახი თეას გამო თბილისში გადავიდა საცხოვრებლად. თეამ ათწლედი 1996 წელს დაამთავრა და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტი გახდა, რომელიც 2000 წელს დაამთავრა სპეციალობით – კონცერტმეისტერი, პედაგოგი, პიანისტი. კონსერვატორიაში სწავლისას თეა აქტიურ მონაწილეობას იღებდა მუსიკის კვირეულებში, კონცერტებში, ხშირ შემთხვევაში იმართებოდა კონცერტები, სადაც ხდებოდა საკუთარი ნაწარმოებების წარდგენაც. თეას ნიჭიერების შესახებ ხშირად იბეჭდებოდა გაზეთების ფურცლებზე, იმსახურებდა დიპლომებს, სიგელებს, პროფესორ-მასწავლებლებისაგან შექებას. პირველ კურსზე თეას მიერ წარდგენილმა ოპერა „აბესალომ და ეთერის“ თემაზე შექმნილმა ვარიაციებმა კონსერვატორიის პედაგოგებისა და მუსიკის მოყვარულთა დიდი მოწონება დაიმსახურა და ამასთან, ყველამ ურჩია ეს ნამუშევარი გამოექვეყნებინა, მაგრამ... უსახსრობის გამო აღნიშნული მასალა კვლავ დღის სინათლეს ელის... ამასთან, თეას უამრავი საფორტეპიანო ნაწარმოები აქვს შექმნილი. ასევე შექმნა მუსიკა ანა კალანდაძის და სხვა ქართველი პოეტების ლექსებზე. ახლახანს დაწერა სამხმიანი საგალობელი ღვთისმშობელზე, მაგრამ ამ ყველაფრის არანაირებისათვის თანხა საძიებია. თეას შექმნილი აქვს სავიოლინო ნაწარმოები ფორტეპიანოსთვის.*

– თეა, როდის გაიხსნა სამუსიკო სკოლასთან არსებული საესტრადო-ვოკალური სტუდია და რამ განაპირობა მისი გახსნა, რა მიზანს ისახავს სტუდია, ვინ არიან სტუდიის მოსწავლეები და რას გვეტყვით, საერთოდ, რას საქმიანობთ ამჟამად?

– დავიწყოთ იმით, რომ მოგეხსენებათ, ჩვენს სამუსიკო სკოლაში არაერთი ნიჭიერი მოსწავლე გვყავს საფორტეპიანო განყოფილებაში, რომლებიც გარკვეული წარმატებებით გამოირჩევიან ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულ კონცერტებსა თუ ფესტივალებში მონაწილეობისას.

სკოლაში 2018 წლის თებერვალში გაიხსნა საესტრადო-ვოკალური სტუდია. სტუდიის გახსნა განაპირობა, სიამაყით ვიტყოდი, უპირველესად უამრავი არაჩვეულებრივი ვოკალური მონაცემების მქონე მოსწავლეების შესაძლებლობებმა, რომელთაც სურვილი ჰქონდათ უფრო ძირეულად დაუფლებოდნენ საესტრადო განყოფილებას, ამიტომაც სტუდიის მოსწავლეთა უმეტესობა სამუსიკო სკოლის მოსწავლეები არიან. სტუდიის მიზანია სწორი მიმართულებით აღზარდოს და უპირველესად წარმოაჩინოს ბევრი ნიჭიერი მოსწავლე, რომლებიც შეისწავლიან ქართულ და უცხოურ სიმღერებს და მომზადებული წარდგებიან ფართო საზოგადოების წინაშე. მოსწავლეები შეისწავლიან, როგორც სოლო, ასევე მრავალხმიან სიმღერებს. ჩვენ ხომ „უხვი ფერებით ვაოცებთ მსოფლიოს და ეს ფერები ჩვენი მრავალხმიანობაა ქართული სიმღერის“. ასევე, ისინი მიიღებენ მონაწილეობას სხვადასხვა კონკურსებსა და ფესტივალებში.

სტუდიის გახსნიდან ორ თვეში მოსწავლეებმა ნია დიღმელაშვილმა, საბა ჭეშურაშვილმა და ნინი აფრიამაშვილმა ორ კონკურსში მიიღეს მონაწილეობა. კერძოდ, ქ. თელავში ჩატარდა შ. დავითაშვილის სახელობის კონკურსი (საერთაშორისო), რომელსაც კახა ცაბაძე, ვაჟა აზარაშვილი ესწრებოდნენ – ჩვენმა მოსწავლეებმა აღნიშნულ კონკურსზე მეორე ადგილი დაიკავეს. აღსანიშნავია, რომ სამივე მონაწილე ინდივიდუალურად ასრულებდა ორ-ორ ნომერს.

ამ კონკურსიდან როგორც წარმატებულმა მონაწილეებმა, შემდგომში უკვე თბილისში გალა-კონცერტზე მიიღეს მონაწილეობა, რომელიც კომპოზიტორთა სახლში გაიმართა.

მეორე კონკურსი „მომავლის ვარსკვლავები“, თბილისში გაიმართა – ჩვენდა სასიხარულოდ, სამივე მოსწავლემ უდიდესი მოწონება დაიმსახურა და ფინალში გალა კონცერტზე კონსერვატორიის დიდ სცენაზე ამღერდნენ. ყველაზე შთამბეჭდავი და საამყო კომპოზიტორის ქ-ნ ნუნუ გაბუნიას საქებარი სიტყვები იყო მათი მისამართით და აქ ისინი ფესტივალის ლაურეატებიც გახდნენ. აღნიშნული წარმატებისათვის მიწვეულ იქნენ კვიპროსზე გამართულ დაჯილდოებაზე, მაგრამ უსახსრობის გამო ვერ გავემგზავრეთ.

ჩვენ წინ კიდევ მრავალი წარმატება გველის. წელს ახალი პატარა მოსწავლეებიც შეგვემატნენ, რომლებიც ერთობლივი, დაუღალავი შრომით აუცილებლად მიაღწევენ დიდ წარმატებებს.

– წარმატებებს გისურვებთ, თეა!

ჩეხეთშიც თავნასახელები
„მი-რე-ლა“ კვლავ წარმატებებისკენ ისრაფვის

საგარეჯოელები ნამდვილად განებივრებულები ვართ „მი-რე-ლას“ (***ხელმძღვანელი მარინა ურდულაშვილი)*** წარმატებებით. ამჯერად კი ხელოვნების სკოლის აღსაზრდელებმა ჩეხეთის რესპუბლიკაში გამართულ კონკურსში დიდი წარმატება და საერთაშორისო აღიარება მოიპოვეს.

მესამე წელია, რაც ჩეხეთის რესპუბლიკაში მცხოვრები ქართველი ქალბატონის, ასმათ შანავას ინიციატივითა და ორგანიზებით, ქალაქ კარლოვი ვარში საბავშვო სიმღერისა და ცეკვის საერთაშორისო კონკურსი „სულიკო“ იმართება. საპროდიუსერო კომპანიამ „ფორტუნა 97“ კარლოვი ვარის კონკურსზე „მი რე ლა“ მას შემდეგ მიიწვია, როდესაც ნიჭიერმა საგარეჯოელმა მომღერლებმა შარშან, ნოემბერში, თბილისში გამართულ კონკურსში გაიმარჯვეს.

13-17 ნოემბერს გამართულ კონკურსში მონაწილეობდნენ სამი ასაკობრივი კატეგორიის ბავშვები ხუთი ქვეყნიდან: ჩეხეთის რესპუბლიკა, საქართველო, გერმანია, უკრაინა და რუსეთი.

„მი-რე-ლას“ აღსაზრდელებმა სიმღერები ბრწყინვალედ შეასრულეს როგორც გუნდურად, ისე ინდივიდუალურად. გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ საგარეჯოელი ბავშვების თითქმის ყველა

გამოსვლა დიპლომებითა და საპრიზო ადგილებით აღინიშნა – საშუალო ასაკობრივ კატეგორიაში.

- პირველი ადგილი დაიკავა ქალაქ საგარეჯოს მეოთხე საჯარო სკოლის მოსწავლემ ლუკა მარტიაშვილმა;

- ყანდაურის საჯარო სკოლის მოსწავლემ ნანუკი სამბელაშვილმა მე-2 საპრიზო ადგილი,

- ხოლო ქალაქ საგარეჯოს მე-2 საჯარო სკოლის მოსწავლემ ნოდიკო გერსამიამ მე-3 საპრიზო ადგილი.

საგარეჯოელმა მომღერლებმა არც დაბალ ასაკობრივ კატეგორიაში დაუდეს ტოლი სხვა კონკურსანტებს:

- ქალაქ საგარეჯოს პირველი საჯარო სკოლის მოსწავლემ, 6 წლის სალომე ტაბატაძემ მე-2 ხარისხის დიპლომი მოიპოვა.

აღსანიშნავია, რომ მკაცრი და მიუკერძოებელი ჟიურის წევრები „მი-რე-ლას“ მოსწავლეთა ნიჭიერებითა და დახვეწილი საშემსრულებლო ოსტატობით გამოწვეულ აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ. მათი მოწონება განსაკუთრებით სალომეს უმცროსმა დამ, 4 წლის მარიამ ტაბატაძემ დაიმსახურა. მარიამს კონკურსგარეშე შესრულებული სიმღერისთვის სპეციალური პრიზი გადაეცა.

დიპლომით დაჯილდოვდა სკოლის ხელმძღვანელი მარინა ურდულაშვილი.

საგარეჯოს ხელოვნების სკოლის კიდევ ერთი წარმატებაა ისიც, რომ ჩეხეთის რესპუბლიკის დედაქალაქის, პრაღის ტელევიზიამ ამავე ქალაქში დაგეგმილ საერთაშორისო კონკურსში მიიწვია.

ხსოვნა

ნინო შათირიშვილი

დადგა ნოემბერი და ამ თვემ კიდევ გაგვახსენა შენი თავი, ძვირფასო დედა – 26 ნოემბერი ხომ შენი დაბადების დღეა. მოაკლდა სოფელს ნინო მასწავლებელი. ენატრები დედა შენს შვილებს – დათოს, ლიას და მაიას, შენს უცნობ პაწია შვილიშვილებს. გვიყვარხარ და გვენატრები ძალიან. ერთმანეთის ნუგეში და ტკბილი მოგონებები დაგვრჩა შენზე. ჩემი პატარა ლექსით მოგეფერები, დედა, რომელიც ჯერ კიდევ სიცოცხლეში მოგიძღვენი.

დაბადებულხარ გიორგობისთვეს,
ქართველი ქალი, ქართველი დედა,
გწყალობდეს წმინდა გიორგის მადლი,
ღვთიური ძალა, ღვთიური ზენა,
შვილური ვალი მუდამ თან დამდევს,
სიკეთისაკენ მიბიძგებს ყველგან,
რით გაგიხარო ტანჯული გული,
რომ სულ ბედნიერს გხედავდე დედა.
გფარავდეს წმინდა ვაზის ჯვრის მადლი,
შენც ხომ ნინო ხარ, ძვირფასო დედა.
მე არ შევარცხვენ შენს წმინდა სახელს,
თუნდ გადავიქცე წამების მსხვერპლად.

შვილი: ლია გრძელიშვილი

რედაქტორი:
თინათინ ილაური

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“ გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 500

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“ დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 599 502 842 599 851 143

ელ. ფოსტა: garejismacne11@gmail.com

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო თანაგრძნობას უცხადებს ამავე საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო და იურიდიულ საკითხთა განყოფილების უფროს სპეციალისტს ნათელა თედიაშვილს

ციური თედიაშვილის

გარდაცვალების გამო.